საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
„სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

#06/07-1 ო

27 მარტი, 2014 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის შევსებაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებისათვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 70–75 მუხლების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის #01–5/ნ–#19 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის შევსებისა და გაგზავნის წესის“ (დანართი #4), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის #239/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებიდან სამართალდამცავ ორგანოებში ცნობების მიწოდების ინსტრუქციის“ (დანართი 1), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 12 დეკემბრის #01-46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დებულების“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სიკვდილის ფაქტის დადასტურების უფლება მიენიჭოს ბრიგადის ექიმს, გვამის პირადად ნახვის საფუძველზე. ექიმი ვალდებულია სიკვდილის ფაქტის დადასტურების შესახებ შესაბამისი ჩანაწერები დაუყოვნებლივ გადასცეს რაიონული სამსახურის უფროსს, რომელიც თავის მხრივ, ვალდებულია პირის გარდაცვალებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს. რაიონული სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია გაგზავნილი სამედიცინო ცნობის სისწორე–სისრულეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი სრულყოფილად შევსება შეუძლებელია სათანადო ინფორმაციის მოპოვების შეუძლებლობის გამო.
2. ექიმის, ან მისი შეტყობინების საფუძველზე – ცვლის უფროსის მიერ პოლიციისათვის ცნობის გადაცემა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის #239/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებიდან სამართალდამცავ ორგანოებში ცნობების მიწოდების ინსტრუქციის“ (დანართი 1) შესაბამისად.
3. ცენტრის შესაბამისი თანამშრომლებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადნინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6).

ცენტრის დირექტორის მ/შ: თეიმურაზ ხარაშვილი